IT ბიზნეს ანალიზი

ლექტორი

ციცი აბჟანდაძე

კურსის დრო

24 შეხვედრა (64 საათი)

კურსის მიზანი

IT ბიზნეს ანალიზის კურსის მიზანია მონაწილეებს მისცეს ბიზნეს ანალიზის პროცესის სრულყოფილი, პრაქტიკული ცოდნა - ბიზნესისა და პრობლემების ანალიზიდან მოთხოვნების მოპოვების, დოკუმენტირების, მოდელირების, მართვისა და შეფასების ჩათვლით. კურსი ასევე მოიცავს დაინტერესებულ მხარეებთან მუშაობას, სისტემების, მონაცემთა ბაზებისა და API ინტეგრაციების საფუძვლებს, პროექტის ცვლილებებისა და რისკების მართვას, დეველოპმენტის ციკლის ძირითად ეტაპებს და AI-ის გამოყენებას ბიზნეს ანალიზში. პროგრამა ეფუძნება პრაქტიკულ სავარჯიშოებს, ქეისებს, შუალედურ შეფასებებსა და ფინალურ პროექტს.

სასწავლო კურსის შინაარსი

ლექცია 1: შესავალი ბიზნეს ანალიზში - როლი, მნიშვნელობა და ღირებულება

- შესავალი და მიმოხილვა: ბიზნეს ანალიზის არსი, საჭიროება და თანამედროვე ტენდენციები/სტატისტიკა
- ბიზნეს ანალიტიკოსის როლი და პასუხისმგებლობები: მთავარი ფუნქციები, პოზიციები და შესაძლო განვითარების გზები
- ღირებულების შექმნა და კომუნიკაცია: როგორ ქმნის ბიზნეს ანალიტიკოსი ღირებულებას პროექტში და როგორ ურთიერთობს დაინტერესებულ მხარეებთან (Stakeholders)

ლექცია 2: ბიზნეს ანალიტიკოსი - როლი და პროექტში შექმნილი ღირებულება

- ცოდნა და კომპეტენციები: ბიზნეს ანალიტიკოსის ძირითადი ცოდნის სფეროები, უნარები და კომპეტენციები
- როლი, აქტივობები და გამოწვევები: ბიზნეს ანალიტიკოსის ძირითადი საქმიანობები, პასუხისმგებლობები და სამუშაო პროცესში არსებული გამოწვევები
- BACCM და ღირებულება: BACCM მოდელის ძირითადი კონცეფციები და მათი გამოყენება ბიზნეს ანალიზში
- **პრაქტიკული სავარჯიშო**

ლექცია 3: აპლიკაციების შექმნის ციკლი და სამუშაო მეთოდოლოგიები

- განვითარების ეტაპები (SDLC): აპლიკაციების შექმნის სასიცოცხლო ციკლი და ზოგადი პრინციპები

- მეთოდოლოგიები (Waterfall & Agile): მიდგომების შედარება და ბიზნეს ანალიტიკოსის როლი თითოეულ მათგანში
- **პრაქტიკული მაგალითები: რეალური ქეისების განხილვა ინდუსტრიიდან**

ლექცია 4: ბიზნესისა და პრობლემების ანალიზის მოდელები

- ბიზნესის ანალიზის ფრეიმვორქები: ბიზნეს მოდელებისა და პრობლემების იდენტიფიკაციის ზოგადი მიმოხილვა
- ანალიტიკური ინსტრუმენტები: ძირითადი სტრუქტურული და პრობლემების ანალიზის მოდელები (მაგ. BMC, LPC, Fishbone, SIPOC)
- **პრაქტიკული დავალება**

ციფრული სისტემების პრინციპები: ციფრული სამყაროს მუშაობის ძირითადი არქიტექტურული და ტექნოლოგიური პრინციპები *(შესაბამისი ვიდეომასალის დამოუკიდებელად დამუშავება)*

ლექცია 5: მოთხოვნების საფუძვლები და ტიპები I ტესტი #1

- მოთხოვნების არსი: ბიზნეს პროცესებში მოთხოვნების მნიშვნელობა და როლი
- კლასიფიკაცია: ფუნქციური და არაფუნქციური მოთხოვნების განხილვა და ჯგუფებად დაყოფა
- **პრაქტიკული ნაწილი: საკლასო სავარჯიშო**
- **შუალედური შეფასება: ტესტი #1**

ლექცია 6: მოთხოვნების ხარისხი და სტანდარტები

- ხარისხიანი მოთხოვნები: კრიტერიუმები და სტანდარტები კარგი მოთხოვნების შესამუშავებლად
- პროცესის მართვის ფრეიმვორქები: მზადების (DoR) და დასრულების (DoD) კრიტერიუმები
- სისტემური კომპონენტები: ვებსაიტებისა და აპლიკაციების განმეორებადი ელემენტები
- **პრაქტიკული ნაწილი: საკლასო სავარჯიშო**

ლექცია 7: მოთხოვნების მოპოვება - ნაწილი I

- მოპოვების პროცესი: მოსამზადებელი ეტაპები და განსხვავება მოთხოვნების შეგროვებასა და მოპოვებას შორის
- ტექნიკები და მეთოდები (ნაწილი I): მოთხოვნების მოპოვების ძირითადი ინსტრუმენტები
- **პრაქტიკული ნაწილი: საკლასო სავარჯიშო**

ლექცია 8: მოთხოვნების მოპოვება და სასიცოცხლო ციკლი

- მოპოვების ტექნიკები (ნაწილი II): მოთხოვნების მოპოვების დამატებითი და მოწინავე მეთოდები

- სასიცოცხლო ციკლი: მოთხოვნების მართვის ციკლი და ბიზნეს ანალიტიკოსის როლი მასში
- მიკვლევადობა: მოთხოვნების ტრექინგისა და კონტროლის პრინციპები
- **პრაქტიკული ნაწილი: საკლასო სავარჯიშო**

ლექცია 9: მოთხოვნების მართვა და პრიორიტიზაცია

- პრიორიტიზაცია და შეფასება: მოთხოვნების პრიორიტიზაციის ტექნიკები და პროექტის შეფასების (Estimation) მეთოდები
- ეფექტურობა: რეკომენდაციები და საუკეთესო პრაქტიკები მოთხოვნების მართვაში
- **სიმულაცია: პრაქტიკული საკლასო სიმულაციური თამაში**

ლექცია 10: პროექტის დაინტერესებული მხარეები / ტესტი #2

- დაინტერესებული მხარეები (Stakeholders): მათი როლის განსაზღვრება, იდენტიფიკაციის მეთოდები და ანალიზი (ნაწილი I)
- **პრაქტიკული ნაწილი: საკლასო სავარჯიშო**
- **შუალედური შეფასება: ტესტი #2**

ლექცია 11: დაინტერესებული მხარეების მართვა და არტეფაქტები

- მხარეების ანალიზი და მართვა: დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი (ნაწილი II) და მათთან ეფექტური კომუნიკაციის/მართვის სტრატეგიები
- არტეფაქტები: ბიზნეს ანალიტიკოსის ძირითადი დოკუმენტაცია და არტეფაქტების ტიპების მიმოხილვა

ლექცია 12: მოთხოვნების დოკუმენტირება და ვიზუალიზაცია

- ისტორიები და სცენარები: User Story-ების და Use Case-ების (Brief & Fully Dressed) შედგენის პრინციპები
- რუკები: User Story Map-ის კონცეფცია და პრაქტიკული გამოყენება

ლექცია 13: მოთხოვნების მოდელირება - ნაწილი I / ტესტი #3

- მოდელირების საფუძვლები: მოდელირების არსი, ტიპები, ბენეფიტები და შეზღუდვები
- დიაგრამები (ნაწილი I): საწყისი დიაგრამების ტიპები და პრაქტიკული სამუშაო
- **შუალედური შეფასება: ტესტი #3**

ლექცია 14: მოთხოვნების მოდელირება - ნაწილი II

- პროცესების ვიზუალიზაცია: პროცესების ნაკადის დიაგრამები (Flowchart, Swimlanes)
- **პრაქტიკული ნაწილი: საკლასო სამუშაო**

ლექცია 15: მოთხოვნების მოდელირება - ნაწილი III

- სისტემური დიაგრამები: Use Case და Activity დიაგრამების პრინციპები
- **პრაქტიკული ნაწილი: საკლასო სამუშაო**

ლექცია 16: მოთხოვნების მოდელირება - ნაწილი IV

- ბიზნეს პროცესების მოდელირება: BPMN-ის საფუძვლები და სტანდარტები
- **პრაქტიკული ნაწილი: საკლასო სამუშაო**

მონაცემთა ბაზები: რელაციური და არარელაციური ბაზების საფუძვლები ბიზნეს ანალიტიკოსისთვის *(შესაბამისი ვიდეომასალის დამოუკიდებელად დამუშავება)*

API და ინტეგრაციის პრინციპები: პროგრამული ინტერფეისების მუშაობის პრინციპები, ინტეგრაციები და ბიზნეს ანალიტიკოსის როლი *(შესაბამისი ვიდეომასალის დამოუკიდებელად დამუშავება)*

ლექცია 17: პროექტისა და მოთხოვნების დანაწევრება I ტესტი #4

- დანაწევრების სტრატეგია: პროექტის შინაარსის მართვა და ფუნქციონალური დანაწევრების ამოცანები, დონეები და მეთოდები
- **პრაქტიკული ნაწილი: საკლასო სამუშაო**
- **შუალედური შეფასება: ტესტი #4**

ლექცია 18: ცვლილებების მართვა პროექტში

- ცვლილებების მართვა: ცვლილებების იდენტიფიკაცია, მართვის გეგმის შემუშავება და საუკეთესო პრაქტიკები/ინსტრუმენტები

ლექცია 19: ბიზნეს ანალიზის სამუშაოს შეფასება და რისკები

- რისკების მართვა: რისკების იდენტიფიკაცია და მათთან გამკლავების მეთოდები ანალიზის პროცესში
- შეფასება (Estimation): ბიზნეს ანალიზის სამუშაოს შეფასების საჭიროება და მეთოდები

ლექცია 20: დეველოპმენტის ციკლის დამატებითი საკითხები - ნაწილი I

- კვლევა და პროტოტიპები: რა არის Spike, POC და პროტოტიპები
- ხარისხი და ტესტირება: UAT, Pre/Post პირობები და ტესტირების ძირითადი ტიპები

ლექცია 21: დეველოპმენტის ციკლის დამატებითი საკითხები - ნაწილი II

- პროცესები და გარემო: დამატებითი სქრამ ცერემონიები, ბაგები (Bug) და რევორკი (Rework)
- ინფრასტრუქტურა: დეველოპმენტისთვის საჭირო გარემოები და ოპერაციული აპლიკაციების მიმოხილვა

ლექცია 22: ხელოვნური ინტელექტი (AI) ბიზნეს ანალიზში

- AI საფუძვლები: ხელოვნური ინტელექტის როლი და პრომპტების ინჟინერია

- პრაქტიკული გამოყენება: AI-ს გამოყენების Use Case-ების მიმოხილვა ბიზნეს ანალიზში და საკლასო დავალება

ლექცია 23: შემაჯამებელი შეხვედრა და მომზადება / ტესტი #5

- შეჯამება: განვლილი მასალის მიმოხილვა
- კარიერული განვითარება: ინტერვიუსთვის მომზადება და დისკუსია
- **შუალედური შეფასება: ტესტი #5**

ლექცია 24: ფინალური პროექტების პრეზენტაცია

სასწავლო კურსის შედეგები

კურსის დასრულების შემდეგ მონაწილეები შეძლებენ:

- ახსნან ბიზნეს ანალიტიკოსის როლი, პასუხისმგებლობები, კომპეტენციები და პროექტში შექმნილი ღირებულება;
- გამოიყენონ ბიზნესისა და პრობლემების ანალიზის ძირითადი მოდელები, ფრეიმვორქები და ინსტრუმენტები;
- აღწერონ SDLC-ის ძირითადი ეტაპები და განასხვავონ Agile და Waterfall მიდგომები;
- მოიპოვონ, გააანალიზონ, დააპრიორიტეტონ, დაადოკუმენტირონ და მართონ მოთხოვნები;
- შეადგინონ User Story-ები, Use Case-ები და მოთხოვნებთან დაკავშირებული ძირითადი არტეფაქტები;
- გამოიყენონ მოთხოვნების ვიზუალიზაციისა და მოდელირების ძირითადი ტექნიკები, მათ შორის Flowchart, Swimlane, Use Case, Activity Diagram და BPMN;
- მოახდინონ დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება, ანალიზი და ეფექტური კომუნიკაციის დაგეგმვა;
- გამოიყენონ მონაცემთა ბაზების, API-ებისა და სისტემური ინტეგრაციების ძირითადი პრინციპები ბიზნეს ანალიზის პროცესში;
- დაყონ პროექტი და მოთხოვნები მართვად კომპონენტებად და შეაფასონ სამუშაოს მოცულობა;
- გამოავლინონ და მართონ პროექტთან დაკავშირებული ცვლილებები და რისკები;
- აღწერონ დეველოპმენტის, ტესტირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი პროცესები;
- გამოიყენონ AI ინსტრუმენტები და ეფექტური პრომფთინგის პრინციპები ბიზნეს ანალიზის ამოცანებში;
- მოამზადონ/წარადგინონ ბიზნეს ანალიზზე დაფუძნებული ფინალური პროექტი.

სასწავლო კურსის მოთხოვნები

- მონაწილეს სასურველია ჰქონდეს სამუშაო გამოცდილება;

- კურსის მონაწილე უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას იმ დონეზე, რომ შეძლოს ინგლისურენოვანი მასალის წაკითხვა და გარჩევა.

ლექტორის შესახებ

- ციცინო აბჟანდაძეს აქვს 8+ წლიანი სამუშაო გამოცდილება IT-ისა და ბიზნეს ანალიზის სფეროში, სხვადასხვა როლის ფარგლებში, მათ შორის: Business Analyst, Senior/Lead Business Analyst, Systems Analyst, Product Owner;
- ამჟამად მუშაობს Lead Business/Systems Analyst-ის პოზიციაზე EPAM Systems-ში, სადაც ჩართულია AI პროექტში - იურიდიული მართვის სისტემისთვის ვირტუალური ასისტენტის შექმნაში;
- გააჩნია გამოცდილება სხვადასხვა დომენში: EIM, იურიდიული ოპერაციები, ადამიანური რესურსების მართვა, ფინანსური მიმართულება და ERP გადაწყვეტილებები (მათ შორის Business Central, OpenText Document Management);
- ფლობს ისეთი ხელსაწყოების პრაქტიკულ გამოცდილებას, როგორიცაა Jira, Confluence, Azure DevOps, Camunda, Draw.io და ა.შ. ;
- არის PMI-ACP სერტიფიცირებული, Certified Technical Interviewer, Assessment committee expert, ატარებს ტექნიკურ გასაუბრებებს და მუშაობს BA გუნდის მართვასა და მენტორობაზე;
- აქვს მაგისტრის ხარისხი ფინანსებში (კავკასიის უნივერსიტეტი) და დამატებითი პროფესიული სერტიფიკატები IT ბიზნეს ანალიზისა და პროექტების მართვის მიმართულებით.